ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2023 წლის 14 სექტემბერი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღების, მინიჭების წესის, „საპატიო ასპინძელის“ მოწმობის ფორმის და „საპატიო ასპინძელის“ მედლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღების, მინიჭების წესის, „საპატიო ასპინძელის“ მოწმობის ფორმის და „საპატიო ასპინძელის“ მედლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/08/2020 წ., 010250050.35.140.016432), კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ასპინძის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების მინიჭების წესი“ მეორე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ)“ ქვეპუნქტი:

„ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – ახალციხის, ბორჯომის, ადიგენისა და ასპინძის მაჟორიტარ დეპუტატს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკი ბერიძე**